# ხაშურის მოამბე

№23 (274) 21 სექტემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

## გილოცავთ! დღეს ღვთისმშობლობაა!

## შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა



ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვისთვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველს შეეწირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).

დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც აღარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ, სახელდახელოდ აგებულ კარავში, მან ორმოცი დღე და ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყვედრა მისმა მხევალმაც: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“.

მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, საზეიმოდ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი ისე, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისააკი“.

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეეწირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

იოაკიმემ მწყემსები მოიხმო და შესაწირავი მსხვერპლის გამზადება უბრძანა. ანა მას სახლში ელოდებოდა. დაინახა თუ არა მწყემსებთან ერთად მომავალი მეუღლე, წინ მიეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ მიწაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და აღთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძარში არ მიიყვანდა, მიწაზე ფეხს აღარ დაადგმევინებდა.



ტეზერი. ხახუტის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი.

როცა მარიამი ერთი წლისა გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა, შინ მოიწვია მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები, პატივსაცემი მოხუცებულნი. „ისმინე, ისმინე ისრაელის თორმეტო ტომო, ძუძუს აწოვებს ანა“, - სიხარულით გალობდა წმიდა ანა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმისაებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბიწო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

# რა წესების დაცვა მოუწევთ ამომრჩევლებს არჩევნებზე - თამარ ჟვანია ხმის მიცემის პროცესის დეტალებს განმარტავს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, კოვიდინფიცირებულმა ამომრჩევლებმა ხმის მიცემის უფლებით შესაძლოა, ვერ ისარგებლონ, კარანტინში მყოფ მოქალაქეებს კი არჩევნებში მონაწილეობა შეეძლებათ.

ჟვანიას თქმით, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში უკვე არსებობს მუხლი, რომლის თანახმადაც სწორედ ცესკო მიიღებს გადაწყვეტილებას საკარანტინო სივრცეში არჩევნების ჩატარება - არ ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამასთან ჟვანიას განცხადებით, ის ფიქრობს, რომ საკარანტინე სივრცეში მყოფ ამომრჩეველს მისი უფლების რეალიზაციის საშუალება უნდა ჰქონდეს.

„ჩვენ შევისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, კოვიდინფიცირებულებთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, გადაწყვეტილება არავის აქვს მიღებული, რომ კოვიდინფიცირებულს ჰქონოდა ხმის მიცემის შესაძლებლობა. თუმცა, ცალკე საკითხია საკარანტინო ზონები და კარანტინის სივრცეებში მყოფი ამომრჩევლები. სხვათაშორის, ჩვენ საარჩევნო კანონმდებლობაში უკვე ეს მუხლი არსებობს, სწორედ ცესკო მიიღებს გადაწყვეტილებას საკარანტინო სივრცეში არჩევნების ჩატარება - არ ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, დაეფუძნება, ექსპერტებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მე ვფიქრობ, რომ კარანტინში მყოფი ამომრჩევლების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს. თუმცა, დღეს გავიგე, რომ შესაძლებელია არსებობდნენ კოვიდინფიცურებულები, რომლებსაც სიმპტომები არ აქვთ და ისინი საკარანტინო სივრცეებში განთავსდებიან. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ცესკოს დიფერენცირება მოუწევს. ვისაუბრებთ პოლიტიკურ პარტიებთან, დამკვირვებლებთან სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რა იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც, ერთის მხრივ, თვითონ კომისიის წევრებსაც მისცემს უსაფრთხოების გარანტიებს და დამკვირვებლებსაც“, - განაცხადა ჟვანიამ.



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს ყველა ამომრჩეველს საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად შესაძლოა, ინდივიდუალური კალამი შესთავაზონ. როგორც ჟვანიამ აღნიშნა, ამომრჩევლებს შესაძლებლობა ექნებათ სურვილის შემთხვევაში საკუთარი კალმითაც ისარგებლონ.

„ამომრჩეველთა დაცულობის თვალსაზრისით ბევრ სხვადასხვა რამეზე ვფიქრობთ.სადეზინფექციო ხსნარები, რომელიც ხელის დამუშავებას ითვალისწინებს აშშ-ის საელჩოს და USAID-ის დახმარებით ყველა უბანზე გვექნება ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ცესკომ წინსწრებით მიიღო და ვფიქრობთ, ესეც მოწონებული იქნება. გადაწყვეტილება კი ინდივიდუალურ კალმებს ეხება.

ვგეგმავთ, ყველა ამომრჩეველს ინდივიდუალური, არავის მოხმარებული რომ არ არის, ასეთი კალმები შევთავაზოთ. კალმები იქნება ერთგვაროვანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი და რა თქმა უნდა, ამ კალამს ამომრჩევლები მიიღებენ ერთჯერადად გამოყენებისთვის. სახლიდან თუ ვინმე წამოიღებს თავის კალამს მას, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ექნება ის გამოიყენოს. მაგრამ ჩვენც ვგეგმავთ ამომრჩეველს შევთავაზოთ ინდივიდუალური კალამი“, - განაცხადა ჟვანიამ.

ამასთან, თამარ ჟვანიამ განმარტა, რომ მარკირების სითხეზე სანიტაიზერები გავლენას ვერ ახდენს.

„მარკირების სითხის შემადგენლობა მიწოდებული გვაქვს ჩართული მხარეებისთვის და ჯანდაცვის სამინისტროსთვის. მათ გააკეთეს ამაზე განცხადება, რომ არ არის პრობლემა. თუმცა, ახალი მარკირების სითხე, რომელიც ამ არჩევნებზე იქნება გამოყენებული, შეკვეთილია და უცხოეთიდან ჩამოვა. ჩვენს ხელთ არსებული მარკირების სითხე ადრეც ყოფილა გადამოწმებული და არათუ სპირტით, მძიმე ქიმიური საშუალებებითაც კი შეუძლებელია მისი მოშორება. მე პირადად მაქვს დასხმული, შემოწმებული, ჩემს თანამშრომლებსაც და ამ კუთხით, პრაქტიკულად შეუძლებელია მარკირების სითხეს პრობლემა შეექმნას“, - განაცხადა ჟვანიამ.

თამარ ჟვანიას განცხადებით, კენჭისყრის დღეს პირბადის ტარება როგორც ამომრჩევლისთვის, ასევე დამკვირვებლებისა და საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, სავალდებულო იქნება. ამასთან, თერმოსკრინინგი ამომრჩევლებს კენჭისყრის დღეს არ ჩაუტარდებათ.

„ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ზუსტად რა იქნება კენჭსიყრის დღეს. ველოდებით ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას. იცვლება მოცემულობები, თუმცა, არის საკითხები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის ნაწილია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავექცევით იმას, რომ კენჭისყრის დღეს, პირბადის ტარების ვალდებულება ექნება ყველას, მათ შორის ამომრჩეველსაც, იმ დამკვირვებლებს, იმ კომისიის წევრებს, რომლებიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში არიან თითქმის 24-საათიან რეჟიმში.

რა თქმა უნდა, როცა ფიზიკური დისტანციის დაცვა არის შეუძლებელი, პირბადე არის ის ალტერნატივა და აუცილებელი პირობა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება (ერთი დადგენილება უკვე მიღებული გვაქვს), რომელიც არეგულირებს წინასაარჩევნო პერიოდში როგორი იქნება ცესკოსთან, საოლქო საარჩევნო კომისიებთან, მათ შორის საუბნო კომისიებთან შესვლა- გამოსვლის წესები. ამრიგად, თერმოსკრინინგი, როგორც მოთხოვნა იქნება ყველა შენობის შესასვლელში. უბრალოდ ეს არ არის დღესდღეობით გავრცელებული და არ ვრცელდება კენჭსყრის დღეზე. ყველა შემსვლელს, ჩართულ მხარეს, პარტიას, კანდიდატს, როცა კომისიასთან ექნება ურთიერთობა, მას აუცილებლად ჩაუტარდება თერმოსკრინინგი“, - განაცხადა თამარ ჟვანიამ.

მისივე თქმით, ტემპერატურის მქონე ამომრჩევლებისთვის ცალკე სივრცე არ გამოიყოფა.

„ცალკე სივრცის პრობლემა არის. ჩვენ, სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურა არ გვაძლევს ცალკე სივრცის საშუალებას და ეს არის პრობლემა. არის ქვეყანა, რომელმაც ტემპერატურის მქონე ამომრჩევლებს ცალკე სივრცე გამოუყო, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინაიდან კონტაქტი მცირე ხნიანი იქნება, ამომრჩეველი დაცული იქნება. თან, სიცხის და ტემპერატურის მიზეზი ვერ გვეცოდინება მინიმუმ, ერთი დღის განმავლობაში. სწორედ ამიტომ, თერმოსკრინინგი იმუშავებს კენჭისყრის დღის გარდა ყველა სხვა პროცესისას“, - განაცხადა თამარ ჟვანიამ.



# ხაშურში მდინარე სურამულას კალაპოტის წმენდა მიმდინარეობს

სამუშაოებს მთლიანად მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს და ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 425 594 ლარს შეადგენს.

მდინარე იწმინდება წლების განმავლობაში დაგროვებული სხვადასხვა სახის ნარჩენისგან, ლამისგან, ლაქაშისგან, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და ა.შ. ტარდება კომპლექსური ღონისძიებები,რაც მნიშვნელოვანია, როგორც სტიქიის პრევენციისთვის, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამით ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი საქმე კეთდება ჩვენი ქალაქისათვის"-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე. მათი განმარტებით, იწმინდება სურამის ტბიდან, მტკვრის შესართავამდე არსებული მონაკვეთი.

ხელშეკრულების პირობით, მდინარე სურამულას კომპლექსური წმენდა ამ დღეებშიდასრულდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოუწოდებს მოქალაქეებს: პასუხისმგებლობით მოეკიდონ ეკოლოგიურ საკითხებს და არ დააბინძურონ გარემო!

## კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, ხაშურში, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა



სპეციალური ხსნარით დამუშავდა სკოლების მიმდებარე ტერიტორიები, სკვერები, დიალიზის ცენტრის მისასვლელი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ბანკომატებისა და სხვა სერვისის მიმწოდებელი პუნქტების მიმდებარე ტერიტორიები. დეზინფექცია ჩატარდა ხაშურის აგრარულ ბაზარშიც.

ქალაქის ტერიტორიაზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება ა(ა)იპ "ხაშურსერვისმა" უზრუნველყო



– კორონავირუსი –

## ხაშურის მუნიციპალიტეტი ისევ „მწვანე ზონად" რჩება

უკანასკნელ პერიოდში, იმატა კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ. რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ამაზე, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **დავით ჩიქოვანი** საუბრობს:




—დღეისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში კოვიდ-19-ის ვირუსული ინფექციის შემთხვევა არ გვაქვს.

სექტემბრის თვეში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 16 პიროვნება. 13 პირს დაუმთავრდა თვითიზოლაციის ვადა, 12-ს დღეს ჩაუტარდა პჯრ ტესტირება (ყველა უარყოფითია). ამჟამად იზოლაციაში იმყოფება 3 პიროვნება,აქედან,ორი გადმოყვანილია საკარანტინო სივრციდან, ხოლო ერთი დაავადებულის უშუალო კონტაქტია.

სექტემბრის თვეში ჩატარებულია 300-ზე მეტი პჯრ ტესტი მიზნობრივ ჯგუფებში(შსს , სამედიცინო პერსონალი, დიალიზზე მყოფი ბენეფიციარები და სხვა...). ყველა შემთხვევა უარყოფითია. მიზნობრივი კვლევები ტარდება 14 დღეში ერჯერ(მთავრობის №975 განკარგულება)

სექტემბრის დასაწყისში სიტუაცია დაიძაბა გორის მუნიციპალიტეტის ერთ სოფელში (რვა დადასტურებული შემთხვევა). რის გამოც, 14 სექტემბერს, ხაშურის ერთი ბრიგარდა გაგზავნილი იქნა დასახმარებლად, სოფლის მასიური ტესტირებისათვის. (აღებული იქნა 57 ბიოლოგიური ნიმუში)

ქვეყანაში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, ვთხოვ მოსახლეობას დაიცვან ყველა ის მინიმალური რეკომენდციები , რასაც მოგვიწოდებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. (პირბადე დახურულ სივრცეში, დისტანცია ,ხელების ჰიგიენა, მასიური თავყრილობებისაგან თავის შეკავება ....). თუ ყველაფერს შევასრულებთ ჩვენი მუნიციპალიტეტი კვლავ მწვანე ზონად დარჩება.

## სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის კონფერენცია სოფელ ბეკამში 1906 წლის 29 ივნისს

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის.

XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გ. ლასხიშვილი და მისი თაობა მოვიდა, ისინი იბრძოდნენ ქართული სკოლის, ქართული ენის უფლებებისათვის, თუმცა, მათ ქართული სახელმწიფოს აღდგენის ფართო პროგრამა არ ჰქონიათ. XX საუკუნის დასაწყისიდან ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება.

მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სოციალისტ-ფედერალისტებს უნდა ჩაეტარებინათ მეტად მნიშვნელოვანი კონფერენცია, სადაც მიღბული უნდა ყოფილიყო პარტიეს პროგრამა და საბოლოოდ მოხდარიყო პარტიეს ჩამოყალიბება.

პარტიის შიგნით გაჩაღებული იყო ბრძოლა მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტულ ფრთებს შორის. მემარცხენე ფრთა, რომლის ხელმძღვანელებიც იყვნენ ანარქისტები კომანდო გოგელია და ცნობილი ორატორი მიხაკო წერეთელი, ძლიერ იერიშს ამზადებდნენ.

გიორგი ლასხიშვილმა სთხოვა მათ, რომ არ გაემწვავებინათ ვითარება პარტიაში, რათა განხეთქილება არ მომხდარიყო და განსაცდელში არ ჩავარდნილიყვნენ. იმ პერიოდში ქვეყანაში დამსჯელი რაზმები თარეშობდნენ, მიმდინარეობდა მუდმივი ჩხრეკა და დაპატიმრებები, რის გამოც, ერთობ ძნელი შეიქმნა კონფერენციის მოწვევა.

პეტრე ყიფიანმა, რომელიც ამ პარტიის წევრი იყო(ბეკმელი მამისთვალ ყიფიანის და იმიტრი ყიფიანის შტოს შთამომავალი). შესთავაზა პარტიის მესვეურებს -29 ივნისს ჩემი დაბადების დღეა, სწორედ ამ დღისათვის, ჩემ სოფელ ბეკამში, გაშლილ სუფრასთან შევიკრიბოთ და ჩავატაროთ კონფერენციაო. 1906 წლის 29 ივნისს, სოფელ ბეკამში სოციალ-ფედერალისტების კონფერენცია გაიხსნა(გახსნა გრ. რცხილაძემ). კონფერენციას მიხაკო წერეთელი და კომანდო გოგელიაც ესწრებოდნენ სათათბირო ხმით. კონფერენციაზე დიდი სიტყვით გამოვიდა კომონდო გოგელია.

5 ივლისს, კონფერენციაზე, ბეკამში, რეზო გაბაშვილი ჩამოვიდა და შიო ჩიტაძის მოკვლის ამბავი ჩამოიტანა. კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო კრების შეჩერების შესახებ და ყველანი თბილისში გაემგზავრნენ დაკრძალვაზე დასასწრებად.

შიო ჩიტაძის დაკრძალვის შემდეგ, კონფერენცია გაგრძელდა სოფელ რუხაში-ძველი ნაროდნიკის, ვასიკო ერისთავის სახლში(გორის რაიონი).

**გ. გელაშვილი**




სურათზე: ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები. XX საუკუნის ათიანი წლები.

# ხაშურის პირველი საჯარო სკოლა - განსხვავებული სივრცე პირველკლასელებისთვის

ხაშურის პირველმა საჯარო სკოლამ პირველკლასელებს განსხვავებულ გარემოში უმასპინძლა. შექმნილმა ეპიდსიატუაციამ, გააჩინა იდეა, სასწავლო პროცესი, სასწავლო კლასიდან ეზოში განთავსებულ, ალტერნატიულ საკლასო ოთახში წარმართულიყო. ინტერნეტსივრცეში განთავსებულმა ფოტოებმა, სადაც, დასაწყისშივე აღინიშნა, რომ ეს დამატებითი სივრცე იყო გარკვეული სასკოლო აქტივობებისთვის, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რედაქცია ესტუმრა სკოლას და მოინახულა სასკოლო სივრცე, ვესაუბრეთ კმაყოფილ მოსწავლეებს და მშობლებს. თუ როგორ და რატომ გაჩნდა იდეა, რას გულისხმობს და რა დატვირთვა ექნება აღნიშნულ სასკოლო ოთახს, სკოლის დირექტორს, **მორის დანდურიშვილს** ვესაუბრეთ:

–ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ვცდილობდით, სწავლის დაწყება მოსწავლეებისთვის შთამბეჭდავი ყოფილიყო, რათა სკოლა სხვანაირად აღექვათ, გვინდოდა, დაგვერწმუნებინა ბავშვები, რომ ეს არის ისეთი სივრცე, რომელიც მისთვის საინტერესოა. წინა წლებში გვქონდა სხვადასხვა ტიპის აქტივობები, გასულ წელს ღია ტიპის ავტობუსით გავასეირნეთ ბავშვები, ძალიან მოეწონათ,



რომ მძღოლი მათი დირექტორი იყო, ერთ წელს მათთვის საყვარელი ზღაპრის და მულტფილმების პერსონაჟები მოვიყვანეთ და შევეცადეთ, რომ მათი პირველი დღე სკოლაში სახალისო და მხიარული ყოფილიყო. წელს, ეპიდ. სიტუაციიდან გამომდინარე, დიდი არჩევანი არც გვქონია და გადავწყვიტეთ, პირველი კლასელებისთვის შეგვექმნა სივრცე, გარე საკლასო ოთახი, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულებით, სხვა კლასებიც გამოიყენებდნენ. სამ ეტაპად შემოგვყავს მოსწავლეები სკოლაში, საშუალო საფეხური იწყებს-9:00 სთ-ზე, საბაზისო საფეხური-09:15 წთ-ზე და დაწყებითი საფეხური-09:30 წთ-ზე, ამიტომ, იყო იმისი შესაძლებლობა, პირველ დღეს, პრეზენტაციები ამ სირცეში ჩაგვეტარებინა და ეტაპობრივად გვემასპინძლა მოსწავლებისათვის.

**- რამდენ ხანში აქციეთ იდეა რეალობად და კონკრეტულად, რა დანიშნულების მატარებელი იქნება ეს სივრცე?**

–ძალიან მარტივად და სწრაფად, რამდენიმე დღის განმავლობაში მოვაწესრიგეთ ის სივრცე, რომელმაც დიდი აზრთა სხვადასხვაობა და ვნებათაღელვა გამოიწვია. ყველა დეტალს თავისი დატვირთვა აქვს. ეს არის სივრცე, რომელიც ბავშვების მიერ არის მოწყობილი, პროექტის "შეცვალე შენით" ფარგლებში. იყო სხვადასხვა კითხვები და პრეტენზიები, რატომ არ არის მერხები, როგორ უნდა წერონ ბავშვებმა. ამ სივრცეში ისეთი ტიპის აქტივობები ჩატარდება, რომელიც არ მოითხოვს წერას. ჩვენ საკლასო ოთახებიც კი გვქონდა წინა წლებში, სადაც ბავშვებს მერხები არ ქონდათ, წრეზე ისხდნენ, რათა გარკვეული აქტივობები ჩაეტარებინათ. სკოლები ყოველდღიურად ვთავაზობთ მოსწავლეებს მერხებთან სხდომას და რატომ არ შეიძლება, სკოლამ შესთავაზოს მათ სხვა ტიპის სივრცე? ბევრს ჰქონდა შენიშვნა და პრეტენზია, გარეთ გატანილ სკამებზე, რომ ისინი ზიანდება და ჩვენ ვფლანგავთ და ვანადგურებთ სახელმწიფო ქონეას. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზეც ვიფიქრეთ და ღია სივრცეში გავიტანეთ ისეთი მასალისგან დამზადებული სკამები, რომლებიც ათეული წლები უძლებს ყველანაირ გარემო პირობებს. რაც შევქმენით, ახსნა-განმარტებები არ გაგვიკეთებია, თუ რატომ დავაწყეთ მხოლოდ სკამები, რატომ დავკიდეთ დაფა ცის ქვეშ, აღმოჩნდა, რომ სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებთან მოგვიწია ამის ახსნა.

**- როგორც ვიცი, დღის განმავლობაში, ბოლომდე დაიტვირთა სასკოლო სივრცე...**

–დღეს, დილიდან სრული დატვირთვით ხდება სივრცის ათვისება, მასწავლებლები თანხმდებიან, თუ რა სიხშირით და რაოდენობით გაინაწილონ და დატვირთონ ეს სივცე.

**- სხვაგან თუ გინახავთ მსგავსი „პროექტი", პირველები ხართ ამ მხრივ?**

–ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ნოვატორები ვართ. ჩვენ სკოლას, სამწუხაროდ, არ აქვს სივრცე სპორტული აქტივობებისთვის და წლებია, სპორტის გაკვეთილებისთვის ბავშვები ეზოში გაგვყავს და ამაზე პრეტენზია არასდროს არავის გასჩენია, ასე მოხდება იქაც. ეს არის დამატებითი, ალტერნატიული სივრცე, რომელიც შეგიძლია გამოიყენო, ან არა. მე მინდა გითხრათ, რომ ერთადერთი სგანი, საინფორმაციო ტექნოლოგიები გადავიყვანეთ დისტანციურ სწავლაზე, ეს ოთახი, რადგან ტექნიკაა განლაგებული, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დისტანცია იყოს დაცული. დანარჩენი საგანი, (692 საათი ტარდება კვირის განმავლობაში,) მხოლოდ 8 საათი ისწავლება დისტანციურად, დანარჩენი საკლასო ოთახებში და ამის შესაძლებლობა ხაშურის პირველ სკოლას ნამდვილად აქვს. სამად გაყოფილმა სასწავლო პროცესმა გამოწვია სიმშვიდე სკოლებში. სკოლაში ირეკება მხოლოდ შესვლის ზარი, გამოსვლის დროს მასწავლებელი აკონტროლებს. ველოდით, რომ ეს ბავშვებში შფოთვას გამოწვევდა, აღმოჩნდა, რომ ეს სიახლეც ძალიან კარგად მიიღეს მოსწავლეებმა.

**- დღეს, შეიძლება ვთქვათ, რომ „ადგილობრივი რეფორმები" საზოგადოებამ კარგად მიიღო?**

–საზოგადოება მზადაა სიახლეებისთვის. წინა წლებში, დაწყებითი სკოლის მოსწავლეების მშობლებს უნდოდათ სკოლაში შემოსვლა, როცა ავუხსენით მდგომარეობა, ძალიან გაგებით მოეკიდნენ ამ ფაქტს და მშობელთა კრებები უკვე დღის მეორე ნახევარში ტარდება. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დამიკავშირდა, რომელსაც სურვილი აქვს, ამ სივრცის გამოყენების. თავდაპირველად, რადგან 58 პირველკლასელი გვყავდა, სივრცეც შესაბამის რაოდენობაზე გავთვალეთ. თუმცა, გვაქვს რესურსი, სურვილის შემთხვევაში, 70 ადამიანამდე გავზარდოთ რაოდენობა. მაქსიმალურად ვცდილობთ, ბავშვებისთვის სკოლა მხოლოდ ყოველდღიური რუტინა არ იყოს და შეძლონ, სხვადასხვა კუთხით განავითარონ საკუთარი თავი და გამოავლინონ შესაძლებლობები.

**თ. ჯავახიშვილი**



# ეროვნული სკრინინგ ცენტრის ექიმებმა, ხაშურში, უფასო გამოკვლევები ჩაატარეს

ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა, უახლესი მაღალტექნოლოგიური აპარატურითა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, 17 სექტემბერს, ხაშურის „ევექსის" ჰოსპიტლის ბაზაზე, ძუძუს უფასო გამოკვლევები ჩაატარეს. მოსახლეობას, ასევე, საშუალება ჰქონდა დაავადებათა სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, ხაშურის ჰოსპიტალში, საშვილოსნოს ყელისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს უფასო სკრინინგული გამოკვლევები ჩაეტარებინა.

ეროვნული სკრინინგ ცენტრი კიბოს სკრინინგის მნიშვნელობასა და ამ პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში თანამშრომლობს „ევექსის" ჰოსპიტლებთან, რომელთაც ქვეყნის მასშტაბით კლინიკების ფართო ქსელი გააჩნიათ. სწორედ ამ მიზნით, ეროვნულ სკრინინგ ცენტრსა და „ევექსი" ჰოსპიტლებს შორის გაფორმებული "ურთიერთთანამშრომლობის" მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კიბოს უფასო გამოკვლევები რეგიონებში. უკვე ჩატარდა კვლევები ასპინძაში, ნინოწმინდასა და ახალქალაქში, ამჯერად ეროვნული სკრინინგ ცენტრის ექიმების მობილური ჯგუფი ხაშურს ეწვია.

ერთობლივი აქციის მიზანია კვლევების ჩასატარებლად მოსახლეობისთვის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა და კიბოს დროული გამოვლენის პრევენციულ ღონისძიებების გატარება, რაც დაავადებათა ადრეული გამოვლენის, მათი გავრცელების შეზღუდვის, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროული დაწყების წინაპირობაა.

ინფორმაციისთვის: სახელმწიფო პროგრამით უფასო სკრინინგის მომსახურება თითოეული კომპონენტით შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებით განისაზღვრება: ძუძუს უფასო გამოკვლევები 40–დან 70 წლის ჩათვლით ასაკის პაციენტებს უტარდებათ

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი განკუთვნილია 25–დან 60 წლის ჩათვლით ასაკის პაციენტებისთვის;

მსხვილი ნაწლავის გამოკვლევა 50–დან 70 წლის ჩათვლით ასაკის(ქალბატონები და მამაკაცები) ბენეფიციარებს ჩაუტარდათ.



# ხაშურის ისტორიისათვის
# (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ №21,22)

როგორც ელენე დედოფლის 1693 წლის სიგელიდან ჩანს, მას ზაალ აბაზაძისათვის განუახლებია სიგელები და კვლავ დაუმტკიცებია ის წყალობა, ამ შემთხვევაში მამულები, რაც საერთოდ აბაზაძის გვარს ჰქონია მიღებული მანამდე. სწორედ ეს ფაქტია ჩვენთვის საყურადღებო, რადგან აქედან კარგად ჩანს, რომ ხაშური, როგორც დასახლებული ადგილი, უფრო ადრეც, 1693 წლამდე, არსებობდა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო ადგილს სიგელიდან:

„...შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მღრთივ გვირგვინოსანმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმა ელენემ და ძემან ჩუენმან პირმშომან და სასურველმან, მეფეთ მეფემან, პატრონმან ნაზარალიხან თქუენ, ჩვენისა ერთგულისა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს აბაზაძეს ზაალს, შვილსა შენსა დავითს, სეხნიასა, ძმისწულსა შენსა ქაიხოსროს, როშაქს და გიორგის, შვილის შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისა, ასე და ამა პირსა ზედან, რომე ბატონის დიდის გიორგი მეფისაგან, ბატონის სვიმონისაგან, ბატონის ლევანისაგან, ბატონის თეიმურაზისაგან და მეფის როსტომისაგან, თქუენის ერთგულობისა და დიდის ნამსახურობისათვის წყალობა ექნათ და თქვენის მამულებისა, ნასყიდისა, ნაწყალობევისა და თქუენის მამა პაპათ სამკვიდროს წიგნები გქონდათ და მათი ბოძებული სიგელები გინახეთ და ვითარ იმათაგანაც გბოძებოდათ და წყალობა ექნათ, მოგვადეგით კარსა და სიგელების განახლებას დაგვიაჯენით”.

როგორც ვხედავთ, ელენე დედოფალს ზაალ აბაზაძისათვის განუახლებია ის სიგელები და წყალობის წიგნები, რომლებიც ადრე, 1693 წლამდე, მიუღიათ მის წინაპრებს. ზაალ აბაზაძეს ეს სიგელები და „მამა-პაპათა სამკვიდროს წიგნები” მიურთმევია ელენე დედოფლისათვის /”მოგვადეგით კარსა ჩუენსა და სიგელების გაახლებას დაგვიაჯენით”/, რომელსაც თავის მხრივ განუახლებია და დაუმტკიცებია ყველა ის წყალობა, რაც სამეფო კარის „ერთგულსა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს” გვარის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში ზაალ აბაზაძეს ეკადრებოდა.

ე.ი. ელენე დედოფალი სიგელში ჩამოთვლილ მამულებს, მათ შორის „ხაშურს ჩაჩანიძისეულ მამულს”, 1693 წელს კი არ ძლევს ზაალ აბაზაძეს, არამედ სიგელებს უახლებს და ხელმეორედ უმტკიცებს მას, როგორც მისი წინაპრების მიერ ადრე სამეფო კარისაგან მიღებულს, ბოძებულს.

მართალია, სიგელში ჩამოთვლილ მეფეთაგან /გიორგი, სვიმონი, ლევანი, თეიმურაზი და როსტომი/, თუ რომელმა უბოძა „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული” აბაზაძის გვარს ცნობილი არ არის, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ხაშური, როგორც დასახლებული ადგილი, XVII ს-ის 90-იან წლებამდეც არსებობდა.

მაგრამ მაინც ვინ და როდის უბოძა აბაზაძის გვარს „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული?”

ამ საკითხის გასარკვევად ისევ ელენე დედოფლის სიგელს უნდა მივმართოთ.

სიგელში, როგორც დავინახეთ, ჩამოთვლილია ის მეფეები, რომელთაგან ერთ-ერთს აბაზაძის გვარისათვის “ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული” უნდა ებოძებინა.

სიგელში აღნიშნულია: „...რომე ბატონის დიდის გიორგის მეფისაგან, ბატონის სვიმონისაგან, ბატონის ლევანისაგან, ბატონის თეიმურაზისაგან და მეფის როსტომისაგან, თქუენის ერთგულობისა და დიდის ნამსახურობისათვის წყალობა ექნათ...”

როგორც ვხედავთ, სიგელში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოხსენიებულია ხუთი ისტორიული პირი: გიორგი, ქართლის მეფეა 1525-1527 წლებში და ცნობილია გიორგი IX სახელით, სვიმონი ქართლის მეფეა 1556-1600 წლებში, ლევანი კახეთის მეფეა 1520-1573 წლებში, თეიმურაზი ქართლსა და კახეთში მეფობდა 1606-1616 და 1623-1632 წლებში, ხოლო როსტომი ქართლის პირველი მაჰმადიანი მეფეა 1632-1658 წლებში.

ე.ი. აბაზაძის გვარისათვის „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამულის” ბოძების ფაქტი ქრონოლოგიურად უნდა შემოვსაზღვროთ გიორგი IX-ისა და როსტომის მეფობის წლებით.

ერთ მომენტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. კერძოდ, თუ პირველ შემთხვევაში ელენე დედოფალი სიგელის დასაწყისში წერს: „... ბატონის დიდის გიორგის მეფისაგან, ბატონის სვიმონისაგან, ბატონის ლევანისაგან, ბატონის თეიმურაზისაგან და მეფის როსტომისაგან” წყალობა მიიღეთო, მეორე შემთხვევაში, როცა უკვე ჩამოთვლილია მამულები ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, წერს, რომ გიმტკიცებთ იმ წყალობას „... რაც დიდს გიორგი მეფეს აქეთ სხვა მეფეთა და მეპატრონეთაგან წყალობა გჭირვებოდათ ან გქონებოდათ”. ე.ი. ამ შემთხვევაში ელენე დედოფალი კონკრეტულად აღნიშნავს, რომ აბაზაძის გვარისათვის მამულები გიორგი მეფის შემდეგ უბოძებიათ. „რაც დიდს გიორგის მეფის აქეთ” – ნათქვამია სიგელში.

ამრიგად, აღნიშნულის გათვალისწინებით, აბაზაძის გვარისათვის „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამულის” ბოძების ფაქტი შეგვიძლია, შემოვსაზღვროთ გიორგი IX ტახტიდან გადადგომის /1727წ./ შემდგომი პერიოდით როსტომ მეფის გარდაცვალებამდე /1656წ./ წლებით. მაგრამ აქაც ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ელენე დედოფალი გიორგი მეფის შემდეგ პირდაპირ გადადის სვიმონ მეფეზე და არაფერს ამბობს ლუარსაბ I შესახებ, რომელიც გიორგი მეფის შემდეგ არის სამეფო ტახტზე /1527-1556წწ./. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს, „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამულის” აბაზაძის გვარისათვის ბოძების დრო უფრო დავაკონკრეტოთ და შემოვსაზღვროთ სვიმონის გამეფებისა /1556წ./ და როსტომის გარდაცვალების /1658წ./ წლებით.

შეიძლება, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ხაშურში აბაზაძის გვარისათვის მამულის ბოძების ფაქტი საკმაოდ დიდი არეალით, თითქმის ერთი საუკუნით, იყოს შემოსაზღვრული, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ხაშური, რომელიც ისტორიულ დოკუმენტში პირველად ჯერ-ჯერობით 1693 წელს მოიხსენიება, ადრეც არსებობს, როგორც დასახლებული ადგილი.

სხვათაშორის, ხაშურის ტერიტორიაზე აბაზაძეების გვარს რომ მართლაც ჰქონდა მიწები, ტოპონიმიკური მასალითაც დასტურდება. კერძოდ, დღევანდელი მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ჩვენ მიერ 1983 წელს დაფიქსირებულია „აბაზაურის მიწების” სახელით ცნობილი ადგილი.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ელენე დედოფლის სიგელის ტექსტის შემდეგ სიტყვებზე: „გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მ)ნ, როგორც ბატონის თეიმურაზის ერთგულნი ყოფილხართ, ეგრევე ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან”32

აქ ხაზგასმულად არის ლაპარაკი აბაზააძეების თეიმურაზ მეფისადმი ერთგულებაზე, მის მიმართ რაღაც გარკვეულ სამსახურზე, რის გამოც როგორც ჩანს, მეფემ გარკვეული წყალობა უბოძა მათ მამულების სახით. სხვათაშორის, ივანე და სოლომონ აბაზაძეების მამულის საქმეზე 1778 წლის II ივნისის განჩინებაშიც განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ თეიმურაზ მეფისადმია გამოხატული და არა სხვა პირებისადმი, რომელთაც ელენე დედოფალი სიგელში მოიხსენიებს /გიორგი, სიმონი, ლევანი, როსტომი/. სოლომონ აბაზაძეს ხელთ აქვს „...ის წიგნები, რომელიც სანატრელს ცხონებულს მეფეს დიდს თეიმურაზს და დედოფალს ელენეს და მეფეს ირაკლის უბოძებიათ”.

დავის მეორე მხარეს- ივანე აბაზაძეს სხვათაშორის ხელთ აქვს „...წიგნები როსტომ მეფისა და კიდევ ლეონ მდივანბეგ ბატონიშვილისა და კიდევ მეფის ბაქარისა”.

საინტერესო ის არის, რომ მართლაც დასტურდება თეიმურაზ მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება და ყურადღება აბაზაძის გვარისადმი, ამ შემთხვევაში კი ზაალ აბაზაძის წინაპრებისადმი. არ შეიძლება, გამოირიცხოს ის ვარაუდი, რომ იმ „მეფეთა და მეპატრონეთაგან” სწორედ თეიმურაზია ის მეფე და პატრონი, რომელმაც აბაზაძის გვარს ხაშურში უბოძა ჩაჩანიძისეული მამული. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ზემოთ მოტანილი სიგელიდან დამოწმებული სიტყვები თეიმურაზ მეფის შესახებ, არამედ თეიმურაზის შემდგომ სხვა დოკუმენტებში დაფიქსირებული როსტომ მეფის დამოკიდებულება აბაზაძის გვარისადმი.

ირკვევა, რომ ზაალ აბაზაძის მამის-რამაზ აბაზაძის განაყოფებს თეიმურაზ მეფისათვის უღალატიათ, ხოლო თავად იგი მეფის ერთგული დარჩენილა. თეიმურაზ მეფეს 1633 წლის II ივლისს ამ ერთგულებისათვის რამაზ აბაზაძისათვი მიუცია მისი პაპის-ზურაბისა და სახლიკაცის-როშნას ნაქონი მამულები. „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ხვარაშან და ძემან ჩუენმან პირმშომან და ყოვლად სასურველმან, ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ, თქვენ ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა აბაზაძესა რამაზს, შვილსა შენსა ზაალს და ძმასა შენსა ქაიხოსროს, ასრე და ამა პირისა ზედან რომე თქვენი განაყოფები ორგულად დაგვრჩენ და შენ გვიერდგულე. აწე ჩუენ ამისდა სანაცვლოდ გიბოძეთ რასაც მქონებელი /იყო/ პაპაშენი ზურაბ და როშნა. ყოვლიფრიდ უკლებლად მკვიდრად და სამამულოდ გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულობას სამსახურსა შინა”.

თეიმურაზ მეფეს ამავე პერიოდში, აბაზაძეებისათვის უბოძებია ნასყიდა არუწაშვილის ვენახი სურამში.

რაც შეეხება როსტომ მეფეს, იგი 1635 წელს ნასყიდა არუწაშვილს უბრუნებს მის „სამკვიდრო ვენახს”, რომელიც 1633 წელს აბაზაძეებს ჰქონდათ ნაბოძები თეიმურაზ მეფისაგან: „ესე წყალობის წიგნი და (სიგელი მოგეცით) და გიბოძეთ ჩუენ მეფეთ-მეფემან (როს)ტომ, შენ სურამელს არუწაშვილს ნასყიდასა, შენსა ძმასა არუწასა და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე. მას ჟამს ოდეს მოგვადექით კარსა და ვენახის წყალობას (და)გვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და მოკითხული ვიქენით და შენი სამკვიდრო ვენახი იყო და ბატონს თეიმურაზს აბაზაძისათვინ მიეცა და ახლა ჩუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენი სამკვიდ(რო) ვენახი, აბაზაძისა და ყოვლის კაცისაგან უცილებრად გქონოდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მ)ნ...”

ალბათ, ამ ფაქტში უნდა დავინახოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც თეიმურაზ მეფესა და როსტომ მეფეს შორის იყო როსტომის ქართლის ტახტზე ასვლის შემდეგ. თეიმურაზი თავის ერთგულ აზნაურს – აბაზაძეს აძლევს წყალობას, ხოლო როსტომი ართმევს. ამ შემთხვევაში საუბარია არუწაშვილის ვენახზე.

როცა ზაალ აბაზაძის წინაპრების – თეიმურაზ მეფისადმი ერთგულებაზეა ლაპარაკი, შესაძლებელია, ეს დაკავშირებული იყოს იმ ბრძოლასთან, რომელიც 1632 წელს გაიმართა სურამთან ახლოს (სხვა ცნობით ქვიშხეთთან) როსტომსა და თეიმურაზს შორის, სადაც ეს უკანასკნელი დამარცხდა და ქართლს გაეცალა. იქნებ ამ ბრძოლის დროს „უორგულეს” თეიმურაზს ზაალ აბაზაძის წინაპრების განაყოფებმაც.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ 1778 წელს ზაალ აბაზაძის შთამომავლობას – სოლომონ აბაზაძეს – ხელთ აქვს თეიმურაზ მეფის სიგელები, ხოლო მის მოწინააღმდეგე მხარეს – ივანე აბაზაძეს, როსტომ მეფის სიგელები. არ არის გამორიცხული, რომ როსტომმა თეიმურაზ მეფის დამარცხებისა და ტახტის შემომტკიცების შემდეგ სწორედ გარკვეული ყურადღება გამოიჩინა აბაზაძეთა იმ განაყოფის მიმართ, რომლებმაც თეიმურაზ მეფეს „უორგულეს” და მისი მხარე დაიჭირეს. როგორც ჩანს, ივანე აბაზაძე ამ აბაზაძეთა შთამომავალია.

ელენე დედოფლის სიგელის ზოგიერთი ადგილის ანალიზმა ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ზაალ აბაზაძის წინაპრებმა ქართლში სწორედ თეიმურაზის მეფობის პერიოდში მიიღეს ძირითადად ის წყალობა, რასაც შემდგომში ელენე დედოფალი ხელმეორედ უმტკიცებს, მათ შორის „ხაშურს ჩაჩანიძისეულ მამულსაც”. ეს შესაძლებელია, XVII საუკუნის 20-იან წლებში, მომხდარიყო.

ამ დროს (XVIIს-ის 20-იანი წლები) ეს მამული უკვე ჩაჩანიძისეულია და არა ჩაჩანიძის, ე.ი. ამ დროს მამულს პატრონი გამოცვლილი ჰყავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხაშურში მამულს ჩაჩანიძე მანამდე ფლობდა. ე.ი. როცა აბაზაძეს აძლევენ ამ მამულს იგი უკვე ჩაჩანიძისეულია. ეს კი ნიშნავს, რომ ხაშური, როგორც დასახლებული ადგილი XVII საუკუნის 20-იან წლებამდეც უნდა ყოფილიყო. თეიმურაზის 1633 წლის სიგელშიც ხომ ნათქვამია, რომ იგი ზაალ აბაზაძის მამას რამაზ აბაზაძეს აძლევს იმ მამულებს, „რასაც მქონებელი” იყო მისი პაპა ზურაბი და სახლიკაცი როშნა.

ერეკლე I ნაზარალხანის ერთ–ერთ საბუთში, რომელიც 1700 წლით თარიღდება, უკვე ხაშურლებიც მოიხსენებიან, მათთან ერთად გორათელებიც /გორაელები/.

ამ დოკუმენტით, ხაშურის, როგორც დასახლებული პუნქტის, არსებობა ეჭვს აღარ იწვევს. თუ ელენე დედოფლისეულ სიგელში მხოლოდ აქ არსებული ჩაჩანიძისეულ მამულზეა საუბარი, აქ უკვე ხაშურლებზეა ლაპარაკი, რომლებიც, თავისთავად ცხადია, ხაშურში მოსახლეობენ. თუ არ იქნებოდა დასახლებული პუნქტი–ხაშური, თავისთავად ცხადია, არ იქნებოდნენ ხაშურელებიც.

როგორც ირკვევა, ხაშურლებს და გორათელებს სურამლების მიწა მოუხნავთ, რასაც სურამის მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. მათ მეფე ერეკლე I-თან უჩივლიათ ხაშურლებისა და გორათელებისათვის. ერეკლე I ზემოთ აღნიშნული ბრძანებაც სწორედ ამას მოჰყვა. იგი მკაცრად აფრთხილებს ხაშურლებს და გორათელებს, რომ ასეთი ქმედება სურამლებთან შეთანხმების გარეშე აღარ ჩაიდინონ და არ გაიმეორონ. მოგვყავს დოკუმენტი მთლიანად: „ჩვენი ბრძანება არის ხაშურელნო და გორაელნო, მერმე თუ ამას იქით სურამელთა უამათოთ ან მიწა მოუხანით და ან თივა მოუთიბეთ, ან ჭირნახული და ნაშრომი წაუხდინეთ, პირუტყვსაც დაგიჩეხენ და კაცსაც ავ(ა)თ მოგეპყრობიან. რომელიც უამათოთ მიწას მოუხნამთ და აჩივლებთ ჩვენდა, შეცოდებათ მოგკითხამთ ან ჭალაში რამ წახდენით და ყორული გასტეხეთ და რჩომა შეეშვით ძალიანათ გარდაგახდევინებთ”.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, უნდა დავასკვნათ, რომ ხაშური, როგორც დასახლებული პუნქტი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა მხოლოდ XVIIს-ის 90-იანი წლებიდან ჩანს ისტორიულ დოკუმენტებსა თუ წყაროებში.

**თამაზ ლაცაბიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# „რაღაცნაირად შტერულად გავთხოვდი. ნინო რამიშვილი მეძებდა და ბოლოს, ჩემი ქმრის სახლში მაინც მომაგნო"

"ქალები საქართველოდან" ფარგლებში გამოქვეყნდა 48 წლის ელენე რატიანის ისტორია, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

"ბავშვობა ხაშურში გავატარე. დედა ქორეოგრაფი იყო და ანსამბლი ჰყავდა, მერე ბავშვთა ანსამბლიც ჩამოაყალიბა და მეც იქ ვცეკვავდი, მთელი რაიონი ხელისგულზე გვატარებდა, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანა მოვიარე.

1989 წლის იანვარში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონკურსი ჩატარდა, რომელშიც საქართველოს მასშტაბით, 90-მდე კო-




ლექტივი იღებდა მონაწილეობას. ჩვენც ჩავედით ამ ფესტივალზე ხაშურიდან და მეც ვიცეკვე. ჟიურიში, ცეკვის

სხვა კორიფეებთან ერთად, ნინო რამიშვილიც იყო, კონკურსის შედეგები მან გამოაცხადა - ქალებს შორის საუკეთესო შემსრულების პრიზი გადმომცეს. როდესაც პრიზს მაძლევდა და სცენაზე ვიდექი, ნინო რამიშვილმა მკითხა, რამდენი წლის ვიყავი. 16-ის ვარ-მეთქი, რომ ვუპასუხე, მითხრა, სკოლას დაამთავრებ თუ არა, ჩემთან მოდიო. შეიძლება ითქვას, იმ სცენიდან ამიყვანა. იმ წელს სკოლა დავამთავრე და მასთან მართლა მივედი. მაშინ „სუხიშვილებში" სასწავლო სტუდია არ იყო და არც იმის საშუალება მქონდა, მათი ცეკვა ხშირად მენახა, მაგრამ ბუნებრივად ისეთი მონაცემების გოგო ვიყავი, ძალიან მოვეწონე - სტილითაც და აღნაგობითაც. 16 წლის გოგო პირდაპირ ანსამბლში მიმიყვანა, სადაც დედაჩემის ტოლი ქალები და კაცები დამხვდნენ. მერე, როგორც ხდება ხოლმე, ადვილად რომ გადავხტი და პირდაპირ მწვერვალზე მოვხვდი, ისევე მარტივად წამოვედი იქედან. სხვათა შორის, ჩემი ნაკლი ყოველთვის ის იყო, რომ მარტივად ავდიოდი მწერვალზე და უბრძოლველადაც ვთმობდი ყველაფერს. ალბათ, იმიტომ, რომ ამბიციური საერთოდ არ ვარ და საკუთარი თავის წარმოჩენისთვის არასდროს ვიბრძვი.

„სუხიშვილებში" ერთი წელიც არ მიცეკვია, 90-იანი წლები და ომის პერიოდი იყო, ანსამბლში სიტუაცია აირია და რეპეტიციები დროებით შეწყდა. ამ დროს მეც არაფერს ვაკეთებდი, ავდექი და რაღაცნაირად შტერულად გავთხოვდი. უკვე სხვა მისამართზე ვცხოვრობდი, როცა ნინო რამიშვილი მეძებდა და ბოლოს, ჩემი ქმრის სახლში მაინც მომაგნო. მოცეკვავე ბიჭი გამომიგზავნა, რომელმაც სახლის კარზე მომიკაკუნა და მითხრა, ნინო გეძებთ, სად ხართ, რატომ არ მობრძანდითო. შემრცხვა, ვერ ვუთხარი, რომ არ მიშვებდნენ და აუცილებლად მოვალ-მეთქი, ვუპასუხე. მერე შვილები გავაჩინე და შევეგუე აზრს, რომ ვეღარსად ვიცეკვებდი. საშინელი გრძნობაა, როცა მოცეკვავე ცეკვას წყვეტს. დეპრესიული მდგომარეობაც მქონდა და მახსოვს, ლექსების წერაც კი დავიწყე, რომ გადავრჩენილიყავი. აღარც ვსწავლობდი - ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსიც ოჯახური პრობლემების გამო მივატოვე, აღარც ვცეკვავდი, მაგრამ ბევრს ვკითხულობდი და ამ პერიოდში გონებრივად ძალიან გავიზარდე. ერთ დღესაც, უცებ გავიაზრე, რომ მე იქ ვერ დავბერდებოდი, სულიერად და ფიზიკურადაც მოვკვდებოდი. ვფიქრობდი, აქ ჩემი შვილებიც ვერ გაიზრდებიან ადამიანებად-მეთქი. ამიტომ, 26 წლის ასაკში, ბავშვებს ხელი მოვკიდე, ქმრის ოჯახიდან წამოვედი და რაიონში ჩამოვედი,



თუმცა ცეკვაზე ისევ არ ვფიქრობდი. ჩამოსვლის შემდეგ გავაანალიზე, რა უნდა მეკეთებინა და გადავწყვიტე, დედაჩემს გვერდში დავდგომოდი.

უმაღლესი განათლების დიპლომიც კი არ მქონდა და გადავწყვიტე, კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობაზე ჩამებარებინა. იქ მიცნეს და უგამოცდოდ, პირდაპირ მეორე კურსზე მიმიღეს. ასე ვცხოვრობდი ხაშურში - დედას ვეხმარებოდი და პარალელურად, უჩა დვალიშვილის კურსზე ვსწავლობდი. ეს სასწავლებელი წითელ დიპლომზე დავამთავრე და დიპლომიანი ქორეოგრაფი გავხდი. „სუხიშვილებში" მიბრუნებაზე აღარც მიფიქრია, შვილები უნდა გამეზარდა და ვიცოდი, რომ ამის პარალელურად იქ მუშაობა ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა. ერთხელ ომარ მხეიძემ მნახა და თქვა - რომ მცოდნოდა, „სუხიშვილებში" იყავი და იქიდან წამოხვედი, ძალით დაგაბრუნებდი, შენ მთელ საქართველოს უნდა გაეცანიო.

მე, როგორც მოცეკვავემ - ვერა, მაგრამ როგორც ქორეოგრაფმა, რეალიზება მოვახერხე და ალბათ, ამან გადამარჩინა დეპრესიისგან. სადაც ახლა ვარ, იქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ამიტომ არ ვდარდობ იმაზე, როგორც მოცეკვავე, სად შეიძლებოდა ახლა ვყოფილიყავი. ფეხზე ჩემით დავდექი, მყავს მრავალრიცხოვანი და პროფესიონალური ანსამბლი „ფრესკა," რომელსაც სერიოზული ბაზა აქვს ქორეოგრაფიული სტუდიის სახითა და 4-წლიანი პროგრამით, როგორც ბიჭებისთვის, ასევე - გოგოებისთვის.

საქართველოში არ არსებობს სხვა პრეცედენტი, რომ ქალი ქორეოგრაფი მუშაობდეს ბიჭებთანაც და გოგოებთანაც. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დაიმკვიდრო თავი ისე, რომ ქართველმა კაცმა ბიჭი შვილი ქალთან მიიყვანოს აღსაზრდელად, მე ვიცი, რაც ხდება ამ სფეროში და იმიტომ ვამბობ, ეს გამონაკლისი შემთხვევაა. ამ ბოლო დროს ჩემი ვაჟი დამიდგა გვერდით, რომელიც, ასევე, პროფესიონალი მოცეკვავეა, მაგრამ ბავშვებს, ძირითადად, მე ვზრდი. საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ, ყოველწლიურად, მეც ვიზრდები და ჩემი ბავშვებიც. ისე გამოვიდა, რომ მოცეკვავის გზით თუ ვერა, პედაგოგიური მოღვაწეობით ვაღწევ წარმატებას - პროფესიონალი მოცეკვავე ვიყავი და ახლა პროფესიონალი ქორეოგრაფი ვარ. დედაჩემი მაყვალა რატიანი იყო, მაგრამ საკუთარი სახელი და გვარი მეც შევქმენი, ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

დღემდე ჩემი ზურგით მოვედი და შრომაში ამ წლებმა მდინარესავით ჩაიარა. დიდი ნებისყოფა სჭირდება ამ საქმეს - ბავშვს ჯერ ზრდი, ცეკვებს დგამ, ანსამბლში აყენებ, მაგრამ სკოლას ამთავრებს და თბილისში მიდის. შენ ისევ ახალი თაობა უნდა გამოზარდო და ასე მუდმივად. ამდენ ენერგიას, ალბათ, ღმერთი მაძლევს, თან, მარტო აქ არ ვმუშაობ, ოჯახის საქმესაც მე ვაკეთებ. პირადი ბედნიერებისთვის არასდროს მეცალა, რაიონი კიდევ ისეთია, აქ ეს რთულიცაა. პირად ცხოვრებას, თუ ვინმე შეგიყვარდა ან შეუყვარდი, არ გაპატიებენ, თითქოს, შვილების გაჩენის შემდეგ, ქალებს ბედნიერების უფლება აღარ აქვთ. მაგრამ ვინც გონიერია და იცის, რა არის ცხოვრება, ის სხვანაირად უყურებს ამ ამბავს და ძალიან მიხარია, რომ ხაშურში სწორად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობა ცხოვრობს. მათ როცა ვესაუბრები, ვხვდები, რომ არსად გასაქცევი არ ვარ. მე ახლა მაქვს ისეთი პერიოდი, როცა ვცდილობ, პირად ცხოვრებაშიც ბედნიერი ვიყო."

## საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის" და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე" გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ²), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ²).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

**რედაქცია**

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.